საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№ 7 პერიოდული გამოცემა 2015 წ. ივლისი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

ივლისში რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი აქტივობა გვქონდა. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო **საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის მოსმენა.** იოლი არ იყო, თუმცა მაინც მოვახერხე და მთელი აპარატის ერთწლიანი შრომის შედეგები 40 წუთიან მოხსენებაში ჩავატიე. მოკლედ მიმოვიხილე საპარლამენტო ანგარიშში ასახული ყველა მიმართულება და ძირითადი გამოწვევები; ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ქვეყანაში მიმდინარე დადებითი და უარყოფითი ტენდენციები. ვისაუბრე რეკომენდაციების შესრულების მნიშვნელობაზე, პენიტენციური სისტემის რეფორმებსა და გამოწვევებზე, მოწყვლადი ჯგუფების პრობლემების გადაჭრის გზებზე, ბავშვთა უფლებებზე, გენდერულ თანასწორობასა და ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბების საკითხებზე, სამართლიანობის აღდგენისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარებაზე, მათ შორის დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე. რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მთელი რიგი საერთაშორისო კონვენციების რატიფიკაციის მნიშვნელობაზეც გავამახვილე ყურადღება.

მინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 2
3. სახალხო დამცველისა და მისი აპარატის საქმიანობა 4
4. წარმატებული საქმეები 9
5. მნიშვნელოვანი თარიღები 10
6. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 10
7. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 12
8. კონტაქტი 13

ჩემი გამოსვლის შემდეგ რამდენიმე საათი პარლამენტართა კითხვებს ვპასუხობდი. უამრავი საკითხი და პრობლემა განვიხილეთ. სამწუხაროდ, ზოგიერთი კითხვა თუ კომენტარი პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, შესაბამისად, უპასუხოდ დამრჩა. სახალხო დამცველს არა აქვს მანდატი გააკეთოს პოლიტიკური შეფასებები და განცხადებები. მე ველოდი, რომ ვისაუბრებდით, თუ როგორ გავხადოთ სახელმწიფო სიკეთეები თანაბრად ხელმისაწვდომი თითოეული მოქალაქისთვის; როგორ შევიმუშაოთ ეკომიგრანტების, უსახლკაროთა, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალურ–ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ქმედითი და პრაქტიკული პოლიტიკა. ვისურვებდი მესაუბრა, ბავშვთა უფლებების დაცვის რეალურ მექანიზმებზე; შშმ პირთა საზოგადოებაში ღირსეული ინტეგრაციის დაჩქარებაზე; შეუწყნარებლობის არსებული მასშტაბების შემცირებაზე; დასავლურ სტანდარტებთან დაახლოებასა და საზოგადოებაში სოციალური პასუხისმგებლობის დამკვიდრებაზე. ვისურვებდი, გაგვეანალიზებინა სად ვიმყოფებით, როგორ შევქმნათ ძალადობისაგან თავისუფალი გარემო; აღმოვფხვრათ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები უმცირესობების მიმართ, როგორ დავიცვათ ძალადობის მსხვერპლი ქალები. ვისურვებდი მთავრობამაც მეტი ძალისხმევა მიმართოს ადამიანის უფლებათა მაღალი სტანდარტების დასამკვიდრებლად. რა თქმა უნდა, ვიქნები კრიტიკული, ობიექტური, მაგრამ ვიქნებით მაქსიმალურად სამართლიანი, როდესაც ადამიანის უფლებებს ეხება საკითხი.

ვხედავ იმ დადებით ტენდენციებს რაც ქვეყანაში ხდება, მაგრამ ასევე ვხედავ იმ პრობლემებს და გამოწვევებს რისი გადაწყვეტისკენაც მოვუწოდებ ხელისუფლებას, მათ გამოსასწორებლად კონკრეტულ ნაბიჯებზე მივუთითებ.

ძალიან მნიშვნელოვანად მიმაჩნია ასევე ჩემი და ჩემი აპარატის წარმომადგენლების **ვიზიტი გაერთიანებულ სამეფოში და იქ გამართული ოფიციალური შეხვედრები.** ლონდონსა და ბელფასტში ადამიანის უფლებებზე და კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე მომუშავე ორგანიზაციების მაღალი რანგის წარმომადგენლებს შევხვდით. ვისაუბრეთ საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მდგომარეობის შესახებ, მათ შორის იძულებით გადაადგილებულთა და კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე სამშვიდობო პროცესებზე, მოსახლეობის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის სავარაუდო გზებზე. განვიხილეთ სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

მაღალი დემოკრატიული ღირებულებების მქონე ქვეყნებში მსგავსი ხასიათის შეხვედრები დიდი გამოცდილებისა და სხვა უამრავი დადებითი შედეგის მომტანია

ივლისში კიდევ ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რომელთა შესახებაც დეტალურ ინფორმაციას ბიულეტენში იხილავთ.

2. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

2.1. წინადადება საქართველოს მთავრობას სექსუალური ძალადობისა და სქესობრივი ხელშეუხებლობისგან ბავშვთა დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ

2 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და სქესობრივი ხელშეუხებლობის ქმედებებისაგან დაცვის მიზნით, დროული და ეფექტური ღონისძიებების განხორციელების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავრობას.

2014—2015 წლების განმავლობაში მკვეთრად გახშირდა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტები. სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზიდან იკვეთება, რომ არასათანადოდ ხორციელდება სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ფსიქო—სოციალური რეაბილიტაცია, მათი საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრაცია და რეფერირების პროცედურა. ხშირ შემთხვევებში ჭიანურდება გამოძიება/სისხლისსამართლებრივი დევნა და ვერ ხდება პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება. ამასთან, არასათანადოდ ხორციელდება ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“, რომლის

შესრულებაზეც სახელმწიფომ პასუხისმგებლობა 2014 წლიდან აიღო.

2.2. რეკომენდაცია სპორტის სასახლის შენობის არასათანადო ადაპტირების გამო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ

17 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შპს „სპორტის სასახლის“ იჯარით მფლობელს შპს „არტპალასს“, შეიმუშავოს შიდა დოკუმენტი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მასში ღირსეულად მონაწილეობის ხელშეწყობის პრინციპები.

2015 წლის 12 თებერვალს, თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოზე შენობის არასათანადო ადაპტირების გამო, დასწრება ვერ შესძლეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა. სახალხო დამცველმა თავისი ინიციატივით დაიწყო აღნიშნული ფაქტის შესწავლა და დაადგინა, რომ შპს „არტპალასმა“ კონკრეტული შშმ პირის მიმართ პირდაპირი დისკრიმინაცია ჩაიდინა.

2.3. რეკომენდაცია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს

17 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს, საპატრულო პოლიციის მხრიდან მოქალაქე გ.გ.-ს მიმართ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების კანონიერებასთან დაკავშირებით.

მოქალაქე გ.გ.-ს მისთვის დაკისრებული ჯარიმისა და საურავის კანონით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო, 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით, 24 თვის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. 2013 წლის 6 იანვარს გ.გ. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების გარეშე მართვისათვის 200 ლარით დაჯარიმდა, თუმცა, ამ დროს მისთვის ცნობილი არ იყო მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გ.გ.—სთვის 2013 წლის 6 იანვარს სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას და შემდგომში საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების გამოცემისას უგულებელყოფილია კანონის მთელი რიგი მოთხოვნები, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მოქალაქის უფლებების ხელყოფა.

2.4. წინადადება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიას

17 ივლისს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარეებს კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის სოციალური უფლებების რეალიზაციისთვის ეფექტური ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ.

გამყოფი ხაზის მიმდებარე ბევრ სოფელში კვლავ ვერ ხერხდება სუფთა სასმელი წყლის მიწოდება; მწვავედ დგას საკუთრებისა და სათანადო საცხოვრებლის უფლების; ასევე უსაფრთხოების საკითხები, რაც გამოიხატება შეზღუდულ მობილურ კავშირში და პოლიციის საგუშაგოების ნაკლებობაში.

წინადადებაში მითითებულია სოციალურად დაუცველის სტატუსის მოხსნის, სკოლის, გზის და სხვა ინფრასტრუქტურულ პრობლემებზეც.

საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით საქართველოს ხელისუფლებას აღებული აქვს ვალდებულება, დაიცვას სათანადო რესურსების არმქონე პირთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, მიმართოს შესაბამისი ძალისხმევა ამ უფლებების პრაქტიკული რეალიზაციისკენ, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს სახელმწიფოში სოციალურ თანასწორობას.

2.5. წინადადება მთავარ პროკურატურას მოქალაქის მიმართ შესაძლო იძულების გამოძიების შესახებ

17 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა მოქალაქე ლ.ლ—ს მიმართ განხორციელებული შესაძლო დანაშაულის (იძულების) ფაქტზე გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს.

მოქალაქე ლ.ლ—ს მტკიცებით, იგი 2011 წლის 18 მარტს უცნობმა პირებმა დააკავეს და პროკურატურაში მიიყვანეს, სადაც განუმარტეს, რომ თუ ჯარიმის სახით 12 მილიონ ლარს გადაიხდიდა, ბანკი, რომელშიც იგი იკავებდა ხელმძღვანელ თანამდებობას, შეძლებდა მუშაობის გაგრძელებას. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კი, მასთან ერთად დააკავებდნენ ბანკისა და ბანკის დამაარსებელი ფონდის ხელმძღვანელებს. ფონდმა საქართველოს ბიუჯეტში თანხა მეორე დილით, 19 მარტს გადარიცხა.

2.6. წინადადება საპოლიციო გამოსახლების მექანიზმის გაუქმების ინიციატივასთან დაკავშირებით

22 ივლისს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს წინადადებით მიმართა იმ კანონ-პროექტთან დაკავშირებით, რომელიც საპოლიციო გამოსახლების მექანიზმის გაუქმებას ითვალისწინებს. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ კანონპროექტით შემოთავაზებული რეგულაციები, მისი მიღების შემთხვევაში, უარყოფითად აისახება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული საკუთრების უფლების დაცვაზე და მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს არ მიიღოს წარმოდგენილი კანონპროექტი და არ გააუარესოს საკუთრების უფლების დაცვის არსებული სტანდარტები.

2.7. წინადადება საქართველოს მთავარ პროკურორს მსჯავრდებულების მიმართ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტის გამოძიების შესახებ

30 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს პენიტენციური დეპარტამენტის N7 დაწესებულებაში განთავსებული ორი მსჯავრდებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ.

მსჯავრდებულთა განმარტებით, ისინი 2015 წლის 27 ივლისს N7 დაწესებულების მოშიმშილეთა საკანში იმყოფებოდნენ. სამედიცინო პერსონალის დაგვიანებული რეაგირების და ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, მსჯავრდებულებმა საკანში დამონტაჟებულ ვიდეო კამერას პროტესტის ნიშნად ნაჭერი ჩამოაფარეს. ამ ფაქტის შემდეგ საკანში დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის ოფიცერი და უსაფრთხოების უფროსი შევიდნენ და მსჯავრდებულებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს მთავარ პროკურატურას არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტზე დაუყოვნებლივ დაიწყოს და აწარმოოს გამოძიება; დროულად ჩატარდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა მსჯავრდებულთა სხეულზე არსებული დაზიანებების ხარისხის, ხასიათის, ხანდაზმულობის, წარმოშობისა და განვითარების მექანიზმის დასადგენად. ამასთან, დროულად მოხდეს მითითებული ფაქტის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერების ამოღება.

3. სახალხო დამცველისა და მისი აპარატის საქმიანობა

3.1. ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასების თაობაზე

1 ივლისი. ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“, 2015 წლის ივნისში საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასების ანგარიში გამოაქვეყნა. დოკუმენტი ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის 12 ინსტიტუტის, მათ შორის სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის შეფასებას მოიცავს და ამ სტრუქტურებში ბოლო ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებულ დადებით თუ უარყოფით ცვლილებებს ასახავს.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმა დოკუმენტის გამოქვეყნებას და აღნიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციათა აქტიურობა ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად დაეხმარება ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდას. თუმცა, ანგარიშში სათანადოდ არ არის ასახული საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მომხდარი პოზიტიური ცვლილებები და შესაბამისად, 2011 წლიდან დღემდე ინსტიტუციის საქმიანობა შეფასებულია, როგორც **მცირედ** გაუმჯობესებული.

სახალხო დამცველმა განმარტებები გააკეთა შეფასების დოკუმენტთან დაკავშირებით და ანგარიშში ასახულ უზუსტობებზე მიუთითა.

3.2. ანგარიშები ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვასთან დაკავშირებით

3 ივლისს სახალხო დამცველმა ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში მიმოიხილა და მცირე საოჯახო ტიპის სახლების სახალხო დამცველის აპარატის ბავშვთა უფლებების ცენტრისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ მცირე საოჯახო ტიპის სახლების მონიტორინგის შედეგები წარმოადგინა.

წლიური ანგარიშის ბავშვის უფლებების თავი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა, ჯანდაცვის უფლების

განხორციელება, ბავშვთა სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონე, ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა, საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ბავშვთა, სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებების აღსაზრდელთა და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობა.

მსტ ბავშვთა სახლების მონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია

სპეციალურ ანგარიშში განხილულია ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობის შესაბამისობა ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტებთან. გამოკვეთილი პრობლემები უკავშირდება აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მომსახურების ინკლუზიურობის, ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომისა და მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების, ბავშვის მიმართ ძალადობის და ბენეფიციართა ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული მომსახურების საკითხებს.

3.3. განცხადება კვერნაძის ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით

საქართველოს სახალხო დამცველმა მწუხარება გამოთქვა **6 ივლისს,** თბილისში, ბ.კვერნაძის ქუჩაზე მდებარე შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე დასაქმებული ოთხი მუშის დაღუპვის გამო. სახელმწიფომ ვერ შეძლო აღნიშნული მძიმე ტრაგედიის თავიდან აცილება.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება, შექმნას ისეთი ქმედითი ინსტრუმენტი, რომელიც სამუშაო ადგილებზე ფატალური შემთხვევების პრევენციისკენ იქნება მიმართული, მაშინ როცა საქართველოში მსგავს შემთხვევებზე რეაგირების ერთადერთი საშუალება სისხლის სამართლის წესით საქმის გამოძიებაა. აღნიშნული, რასაკვირველია, არ არის საკმარისი.

სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, დროულად შექმნას შრომის პირობების ინსპექტირების ეფექტური მექანიზმი და უზრუნველყოს შრომის უსაფრთხო გარემო ყველა დასაქმებული პირისათვის.

3.4. განცხადება კომპანია "KFC"-ის სტიგმის შემცველი სარეკლამო ხასიათის ფოტოს შესახებ

7 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა შეშფოთება გამოთქვა სწრაფი კვების დაწესებულების „ქეი ეფ სის" სოციალურ ქსელ „ფეისბუქის" ქართულ გვერდზე გამოქვეყნებული სარეკლამო ხასიათის ფოტოს გამო, რომელიც შეიცავს სტიგმასა და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას ფსიქიკური შეზღუდვის მქონე პირების მიმართ.

საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის, მათ შორის, ფსიქიკური შეზღუდვის მქონე პირების მიმართ სტიგმა და სტერეოტიპების შემცველი დამოკიდებულება საზოგადოებაში მყარად არის გამჯდარი, რის გამოც ისინი ხშირად ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი. ამ ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სარეკლამო ხასიათის პროდუქტები არ იწვევდეს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების გაძლიერებას, ფსიქიკური შეზღუდვის მქონე პირების ღირსების შელახვას და მათი იზოლაციის ხელშეწყობას.

საქართველოს სახალხო დამცველმა კომპანია "KFC"—ის მოუწოდა შეაჩეროს სარეკლამო ხასიათის ფოტოს გამოყენება.

3.5. სახალხო დამცველმა ლიკა კიკიანის განცხადების საფუძველზე პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყება მოითხოვა

8 ივლისი საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მოქალაქე ლიკა კიკიანის განცხადება მის მიმართ პოლიციელების მხრიდან განხორციელებული ძალადობის თაობაზე, შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რაც გამოძიების დაწყების ვალდებულებას აწესებს. ამდენად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის ფაქტზე გამოძიება უნდა დაიწყოს და ეფექტიანად წარმართოს საქართველოს პროკურატურამ.

3.6. განცხადება გლდანში მომხდარი აფეთქების შესახებ

სახალხო დამცველმა ღრმა მწუხარებას გამოთქვა **14 ივლისს** თბილისში, გლდანის რაიონის ერთ—ერთი საცხოვრებელ კორპუსში მომხდარი

აფეთქების მიზეზით გარდაცვლილთა და დაშავებულთა გამო. ამასთან, უჩა ნანუაშვილმა განაცხადა, რომ აუცილებელია, დაწყებული გამოძიება წარიმართოს სრულყოფილად, ეფექტურად და ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე. დროულად უნდა დადგინდეს მომხდარის მიზეზები, ხოლო ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, ხომ არ ქონდა ადგილი უსაფრთხოების წესების დარღვევას.

3.7. მოსაზრება პოლიტიკურ კანდიდატთა კვოტირების მექანიზმის შესახებ

17 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს სპეციალური დროებითი ღონისძიების — კვოტირების შესახებ მოსაზრება წარუდგინა. მოსაზრებაში ასახულია შენიშვნები და წინადადებები საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ, რომელიც „პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების შეტანას უკავშირდება.

საქართველოს სახალხო დამცველი იზიარებს სამუშაო ჯგუფის „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში“ ინიციატივას და მიაჩნია, რომ პოლიტიკურ კანდიდატთა შორის 50/50 ბალანსის დაცვა, სადაც კანდიდატთა სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის წარმომადგენელი იქნება, რეალურ შედეგს მოიტანს.

სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი მოსაზრების თანახმად, 50%-იანი კვოტირების სისტემა არის არსებული უთანასწორო მდგომარეობიდან თავის დაღწევის რეალური გამოსავალი და შანსი, ორივე სქესს თანაბრად მიეცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3.8. ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრების მონიტორინგი

21 ივლისს სახალხო დამცველმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგად მომზადებული სპეციალური ანგარიში და რეკომენდაციები, შემდგომი რეაგირებისთვის, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელს გაუგზავნა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების თბილისის და ბათუმის თავშესაფრები **10-11 ივნისს** შეამოწმა.

აშკარაა, რომ თავშესაფრის ადმინისტრაცია ძალისხმევას არ იშურებს ბენეფიციართა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, გამოიკვეთა რიგი პრობლემური საკითხები, რომელთა მოგვარება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სერვისის მიწოდების ხარისხს. კერძოდ:

დაწესებულებას არ აქვს სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც უნდა იყოს მოწყობილი საცხოვრებელი და განსაზღვრული მომსახურების გაწევის წესები; არც ერთი თავშესაფარი არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის და მათი განთავსება საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში, ფაქტიურად შეუძლებელია; არ არსებობს გადამდები ინფექციური დაავადებების შემთხვევაში რისკების თავიდან აცილების მექანიზმი და შესაბამისად, ასეთი პირი უბრალოდ არ მიიღება; თბილისის თავშესაფარში არ არის გათვალისწინებული ფსიქოლოგის შტატი.

3.9. სახალხო დამცველი შეკრების თავისუფლების შეზღუდვის ფაქტებს გამოეხმაურა

22 ივლისს გამოქვეყნებულ განცხადებაში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში გახშირდა შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების ხელშეშლის ფაქტები სამართალდამცავთა მხრიდან. განცხადებაში მან ისაუბრა **18 ივლისს** “Stop Russia—ს” ერთ—ერთი ორგანიზატორის, „ტაბულას“ პროდიუსერის ალექსი მაჭავარიანისა და **19 ივლისს** „პანორამა თბილისის“ წინააღმდეგ გამართულ შეკრებაზე დაკავებული 10 პირის საქმეზე. აღსანიშნავია, რომ მაჭავარიანის საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ვერ წარმოადგინეს მტკიცებულებები, რომლითაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი დადასტურდებოდა.

სახალხო დამცველმა აქვე მოიყვანა **12 ივნისს, ჰეიდარ ალიევის პარკში მომხდარ ინციდენტი.** აღნიშნული ფაქტები შესაძლოა მიუთითებდეს არაჯანსაღი ტენდენციის დამკვიდრებაზე, რომელსაც სჭირდება სასწრაფო ყურადღება როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლების მხრიდან. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება უნდა იყოს დაცული ყველასათვის, სამართალდამცავი ორგანოების ქმედებები ნაკარნახევი უნდა იყოს მხოლოდ კანონით და ემსახურებოდეს ადამიანის უფლებების დაცვასა და პატივისცემას.

3.10. განცხადება შშმ პირთა საჭიროებების გაუთვალისწინებლობის შესახებ

27 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა ყველა საჯარო თუ კერძო დაწესებულებას მოუწოდა, გაითვალისწინოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები — შშმ პირთა ცხოვრების ყველა სფეროში სრულყოფილი მონაწილეობისათვის უზრუნველყოს ფიზიკური გარემოს, საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობა, დისკრიმინაციის გარეშე.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის 26 ივლისს ევროპის ოლიმპიური ახალგაზრდული ფესტივალი „თბილისი 2015“— ის ორგანიზატორებმა არ გაითვალისწინეს ღონისძიების გახსნის ცერემონიაზე დასწრების მსურველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები. შედეგად, ეტლით მოსარგებლე ადამიანებს შეექმნათ დაბრკოლება მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე თავისუფლად შესვლის, გადაადგილებისა და ღონისძიებაზე დასწრების პროცესში.

3.11. განცხადება ქალის მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის ფაქტის გაშუქებასთან დაკავშირებით

28 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა მედიასაშუალებებს, განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდონ ძალადობის შემთხვევების გაშუქებას, გაითვალისწინონ მსხვერპლის ინტერესები და მხედველობაში მიიღონ მათთვის მიყენებული ტრავმები. განსაკუთრებული მგრძნობელობა გამოიჩინონ ქალთა დისკრიმინაციის შემთხვევების მიმართ და ნუ შეუწყობენ ხელს არსებული დისკრიმინაციული სტერეოტიპების გამყარებას.

26 ივლისს ტელე იმედის ეთერით გასული სიუჟეტი ახალგაზრდა ქალის მიმართ ქმრის მხრიდან განხორციელებული სავარაუდო ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შესახებ იმ მიზეზით, რომ იგი არ იყო ქალიშვილი, მომზადებული იყო იმგვარად, რომ არღვევდა პირის უფლებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე. ამ ადამიანისთვის მიყენებული უმძიმესი ტრავმების ფონზე, სიუჟეტში იყო კადრები სადაც აშკარად ჩანდა, მისი სახე და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

3.12. სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლო მეგობრის მოსაზრებით მიმართა

29 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა კონსტიტუციურ სარჩელზე „საქართველოს მოქალაქე ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება წარადგინა.

საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებით, სოციალური დაცვის სფეროში სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეების მიმართ განსხვავებული საკანონმდებლო რეგულაციების გამოყენება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული თანასწორობის უნივერსალური ნორმა-პრინციპის მოთხოვნებს და თავისი არსით, დისკრიმინაციულია.

3.13. საჯარო დებატები: არის თუ არა სახელმწიფო მზად ეკომიგრანტების პრობლემების მოსაგვარებლად

31 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობითა და ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით, მორიგი საჯარო დებატები გამართა თემაზე: არის თუ არა სახელმწიფო მზად ეკომიგრანტების პრობლემების მოსაგვარებლად. ღონისძიებას მოდერაცია გაუწია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა თათული თოდუამ. დებატების თემა თბილისში 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიური უბედურების სალიკვიდაციო საქმიანობის შესწავლის შედეგად შეირჩა.

დებატები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიაში გაიმართა

საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ ნათია კაციტაძემ აღნიშნა, რომ სახალხო დამცველი სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების წინაშე წლებია აყენებს სტიქიური მოვ-

ლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების — ეკომიგრანტების პრობლემას თუმცა, დღემდე არ არსებობს სახელმწიფოს ერთიანი სტრატეგია. არ შემუშავებულა არაც მათი განსახლების, ახალ ადგილას დასაქმებისა და ინტეგრაციის გეგმა. კანონში დეფინიციაც კი არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული, ბევრი მათგანისათვის არც სტატუსია დადგენილი და არც მათი რაოდენობაა განსაზღვრული. ეკომიგრანტთა დიდი ნაწილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში და მუდმივი საცხოვრებელი ფართის გარეშეა დარჩენილი.

თბილისის მერის მოადგილემ ნინა ხატისკაცმა ისაუბრა თბილისის მერიის მიერ 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულთა საჭიროებების დამდგენი მექანიზმის მუშაობაზე; საერთაშორისო და საზოგადოებრივ დახმარებებზე; დროებითი განსახლების ადგილებში დაზარალებულთა ფსიქოლოგიურ დახმარებაზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილემ გოგი ფაცაციამ აღნიშნა, რომ ეკომიგრანტთა შესახებ კანონი უკვე შემუშავებულია და საქართველოს მთავრობაში არის გადაგზავნილი.

სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერების აუცილებლობაზე ისაუბრა არასამთავრობო ორგანიზაცია „ბორჯღალის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ციალა ქათამაძემ.

მოხსენებების შემდგომ გამართულ დისკუსიაზე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თემით დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლები ქვეყანაში ეკომიგრანტთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის სისუსტეზე, ქვეყნის სტიქიისა და ბუნებრივი კატაკლიზმების მიმართ საქართველოში არსებულ საფრთხეებზე, ამ საფრთხეების პრევენციისათვის სახელმწიფოს შესაბამისის სტრუქტურების, და განსაკუთრებით, თვითმმართველი ქალაქების მზადყოფნაზე. დიდი ყურადღება დაეთმო წალკაში ჩასახლებული ეკომიგრანტების პრობლემას.

3.14. საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შეფასება

31 ივლისს, საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 1 აგვისტოს დადგენილების მიღებიდან ერთი წლის თავზე, საქართველოს სახალხო დამცველმა „2013 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა შეაფასა.

საქართველოს სახალხო დამცველმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ გატარებულ ღონისძიებები სახალხო დამცველის აპარატსა და საკანონმდებლო ორგანოს შორის თანამშრომლობის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს. მითუმეტეს, რომ არსებული ფორმატი უცილობლად განაპირობებს პარლამენტის წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულების ხარისხის ზრდას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის მიერ დანერგილი დადგენილების მიღების პროცედურა აზრს დაკარგავს, თუ სახალხო დამცველის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები არ იქნება გაზიარებული. სამწუხაროდ, საპარლამენტო ანგარიშსა და პარლამენტის დადგენილებაში ასახული რეკომენდაციების ნაწილი დღემდე რჩება საქართველოს მთავრობის ყურადღების მიღმა. მათ შორის არის რეკომენდაციები, რომელთა დაუყოვნებლივ შესრულება აუცილებელია ადამიანის უფლებათა მაღალი სტანდარტების დამკვიდრებისთვის. თუმცა, დადებითად შეიძლება შეფასდეს ის გარემოება, რომ ზოგიერთი სახელმწიფო უწყება საბოლოო და სრულყოფილი შესრულებისათვის ჯერ კიდევ აგრძელებს მუშაობას.

სახალხო დამცველმა იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი კონსტრუქციული და კოორდინირებული მუშაობის შედეგად, შესაძლებელი გახდება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტის ნიშნულის მიღწევა.

3.15. სახალხო დამცველისა და მთავარი პროკურორის შეხვედრა

31 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის ინიციატივით შეხვედრა გაიმართა საქართველოს მთავარ პროკურორთან გიორგი ბადაშვილთან, რომელსაც სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე და მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე ირაკლი შოთაძე ესწრებოდნენ.

შეხვედრა მთავარ პროკურატურაში

სახალხო დამცველმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მისი რწმუნებულის ან პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჯგუფის წევრისათვის დახურულ დაწესებულებებში მოთავსებული პირების მიერ, თუნდაც არასწორი, ან ცრუ ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, სისხლის სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობის დაყენების დაუშვებლობაზე. განიხილეს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი ფაქტების სრულყოფილად და ეფექტურად გამოძიების, ასევე სწორი კვალიფიკაციის პრობლემები; პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყებისა და წარმოების აუცილებლობა იმ შემთხვევებში, როდესაც სამართალდამცავი უწყების თანამშრომელი, სამუშაო ადგილზე მის მიმართ განხორციელებულ იძულებასა თუ მუქარაზე საუბრობს. სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია მსგავს საქმეებს სწორედ მთავარი პროკურატურა იძიებდეს.

ისაუბრეს მიმდინარე წლის თებერვალში მთავარ პროკურატურაში შექმნილი ახალი დეპარტამენტის სამუშაო სპეციფიკაზე, რომელიც წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების, ასევე ქონების დათმობის მიზნით, მოქალაქეების მიმართ განხორციელებული მუქარისა თუ იძულების ფაქტებს შეისწავლის.

დასასრულს მხარეებმა გამოთქვეს მზაობა მომავალი თანამშრომლობის შესახებ, მათ შორის, პრობლემური საკითხების სამუშაო ფორმატში განხილვისა და თანამშრომელთა სწავლება/გადამზადების კუთხით.

4. წარმატებული საქმეები

4.1. სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრება ბავშვთა საალმზრდელო დაწესებულებების მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის შესახებ

26 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გაითვალისწინა სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) წერილი და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დაუშვებლად მიიჩნია მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციართა საალმზრდელო დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობა.

საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, ბავშვთა საალმზრდელო დაწესებულების მახლობლად სასაფლაოების მოწყობის საკითხი და მისგან გამომდინარე ზემოქმედების მიზანშეწონილობის განხილვა განეკუთვნება არასრულწლოვანთა პირად ცხოვრებაში შესაძლო ჩარევის სფეროს და მისი მართლზომიერების შესწავლისას განხილულ უნდა იქნეს პირად სივრცეში ჩარევის შესახებ ეროვნული/საერთაშორისო ნორმები და პრაქტიკა. სასაფლაოების ფუნქციონირებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ზემოქმედების მიმართებასა და საალმზრდელო დაწესებულებებში მცხოვრებ ძალადობის მსხვერპლ/მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიმართ შესაძლო ზიანზე.

4.2. სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო

26 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო საქართველოს სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სარჩელი. სახალხო დამცველი სადავოდ მიიჩნევდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 8[3] მუხლის პირველი პუნქტის დებულებას, რომლითაც ფარული საგამოძიებო მოქმედებების განსახორციელებლად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს უფლება აქვს რეალურ დროში მოიპოვოს ინფორმაცია კავშირგაბმულობის და კომუნიკაციის ხაზებიდან და უსასყიდლოდ განათავსოს სიგნალის ფიქსაციის აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები.

აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციები სახელმწიფოს აძლევს შეუზღუდავ უფლებას, ყოველგვარი შუამავალი რგოლის გარეშე მიუწვდებოდეს ხელი ტელესაკომუნიკაციო საშუალებებით და ინტერნეტით განხორციელებული კომუნიკაციის მონაწილეთა როგორც მაიდენტიფიცირებელ მონაცემებზე, ისე, ამ კომუნიკაციის შინაარსზე.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს პირადი ცხოვრების უფლების მიმართ მოქმედების იმგვარი თავისუფლება გააჩნია, რომელიც მარტივად შესაძლოა გადაიზარდოს თვითნებობაში.

4.3. საქართველოს პარლამენტმა ადმინისტრაციულ პროცესში სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის შემოღების შესახებ სახალხო დამცველის წინადადება დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა სახალხო დამცველის წინადადება და **3 ივლის** განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო

კოდექსს დაემატა 16[1] მუხლი, რომელიც ნებისმიერ პირს საშუალებას აძლევს, საქმის არსებით განხილვამდე სასამართლოს საკუთარი „სასამართლოს მეგობრის“ წერილობითი მოსაზრება წარუდგინოს.

საქართველოს სახალხო დამცველმა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში „სასამართლოს მეგობრის“ (Amicus Curiae) ინსტიტუტის შემოღების წინადადებით საქართველოს პარლამენტს 2014 წლის 15 დეკემბერს მიმართა.

„სასამართლოს მეგობარი“ წარადგენს ნორმატიული ან ფაქტობრივი ხასიათის ინფორმაციას, რომლის მიზანია სასამართლოს დაეხმაროს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში. „სასამართლოს მეგობარი“ არ არის არც პროცესის მხარე და არც მესამე პირი და მის მიზანს არ წარმოადგენს რომელიმე მხარის მხარდაჭერა.

საქართველოს სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა აღნიშნულ ცვლილებებს და მოუწოდა სამოქალაქო საზოგადოებას აქტიურად გამოიყენოს „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი.

4.4. საკონსტიტუციო სასამართლომ სახალხო დამცველის სარჩელი დააკმაყოფილა

31 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი და დაადგინა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი არ შეესაბამება თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს და არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი იმ პირთა წრეს განსაზღვრავს, რომლებსაც საჯარო სამსახურში საქმიანობა ეზღუდებათ, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საჯარო სამსახურის დაკავება ეკრძალება ნებისმიერ პირს, რომელიც „იმყოფება გამოძიების ქვეშ.“ საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებით, ამგვარი ჩანაწერი ეწინააღმდეგება საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლებას, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის არგუმენტაცია აღნიშნული მუხლის ბუნდოვანებასთან დაკავშირებით და მიიჩნია რომ კანონმდებლობა მკაფიოდ არ განსაზღვრავს „გამოძიების ქვეშ მყოფი პირის“ ცნებას, რაც ქმნის აღნიშნული კატეგორიისადმი პირთა ფართო წრის მიკუთვნების შესაძლებლობას.

5. მნიშვნელოვანი თარიღები

5.1. ლტოლვილთა საერთაშორისო დღე

11 ივლისს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ პანკისის ხეობის სოფელ დუისში გამართულ ლტოლვილთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც კახეთის განვითარების ფონდის მხარდაჭერით გაიმართა.

ლტოლვილთა საერთაშორისო დღე დუისში

ლტოლვილთა საერთაშორისო დღე დატვირთული იყო სხვადასხვა გასართობი, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებებით. შეჯიბრში მონაწილე ახალგაზრდებს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ ომბუდსმენის აპარატის სახელით სამახსოვრო საჩუქრებიც გადასცა.

5.2. რამაზან ბაირამის დღესასწაული

17 ივლისს სახალხო დამცველმა საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებს წმინდა რამადანის დასრულება და მუსლიმური სამყაროსთვის ყველაზე წმინდა დღესასწაული “იდ ალ-ფიტრი”, ანუ მარხვის დასრულების დღესასწაული მიულოცა. უსურვა მათ მშვიდობა, სიხარული, ჯანმრთელობა, ბედნიერება და კეთილდღეობა.

6. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

6.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ

21 ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცე-

მის უფლების დარღვევა დაადგინა (კონვენციის მე—8 მუხლი).

საქმე ეხება უკრაინის მოქალაქის გ.ს.—ს საჩივარს მისი 16 წლის ვაჟის დაბრუნების შესახებ საქართველოში მიმდინარე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით. 2010 წლის ზაფხულის არდადეგების ბოლოს, განმცხადებლის ყოფილმა პარტნიორმა მათი საერთო შვილის საქართველოში დატოვება გადაწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ თავად რუსეთში ცხოვრობდა და ბავშვს მხოლოდ დროდადრო ნახულობდა.

საქმესთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა ხარვეზებს საქართველოს ეროვნული სასამართლოების მიერ ექსპერტთა დასკვნებისა და სხვა მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე. კერძოდ, ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას, ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის დასკვნები, რომ ბიჭი იტანჯებოდა ორივე მშობელთან კონტაქტის ნაკლებობით და სიტუაციის გაურკვევლობით. სასამართლოს აზრით, საეჭვო იყო, ემსახურებოდა თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესს, რომელმაც თავისი ცხოვრების პირველი ექვსი წელი უკრაინაში გაატარა, ორივე მშობლის გარეშე დატოვება მამის ოჯახში, რომელსაც არ ჰქონდა ბავშვზე მეურვეობის უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ექსპერტების დასკვნებისა და სხვა მტკიცებულებების გამოკვლევისას არსებული ხარვეზების გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება განმცხადებლის ვაჟის უკრაინაში არდაბრუნების შესახებ, არ იყო სათანადოდ და საკმარისად დასაბუთებული. ამასთან, ეროვნულმა სასამართლომ, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, სათანადოდ ვერ განსაზღვრა ბავშვის საუკეთესო ინტერესი და ვერ უზრუნველყო დაპირისპირებული მხარეების ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა.

გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს საქმის დაჩქარებული წესით განხილვა. კერძოდ, ევროპული სასამართლოს განსაკუთრებული შეშფოთების საგანად იქცა საკასაციო ეტაპზე საქმის განხილვის თითქმის 9 თვის მანძილზე გაჭიანურება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ბავშვის დაბრუნებასთან დაკავშირებულ საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისთვის ექვს კვირიან ვადას ადგენს.

საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს ჯამში 9, 100 ევროს გადახდა დააკისრა.

6.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება იტალიის წინააღმდეგ

21 ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ოლიარი და სხვები იტალიის წინააღმდეგ, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა დაადგინა.

საქმე ეხება სამი ჰომოსექსუალი წყვილის საჩივარს ქორწინების ან ნებისმიერი სხვა ტიპის სამოქალაქო პარტნიორობის რეგისტრაციის შესაძლებლობის არქონასთან დაკავშირებით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ იტალიაში ამჟამად არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, როგორც ეს განმცხადებლების სიტუაციამ ცხადყო, არა მარტო ვერ უზრუნველყოფს სტაბილურ ურთიერთობაში მყოფ წყვილებს შესაფერისი ძირითადი საჭიროებებით, არამედ ის არ არის საკმარისად საიმედო. სასამართლოს აზრით, სამოქალაქო პარტნიორობა ან ქორწინების რეგისტრაცია არის ყველაზე შესაფერისი გზა ერთი და იმავე სქესის წყვილებისთვის მათი ურთიერთობების სამართლებრივი აღიარებისთვის.

სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში მიუთითა, რომ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის ერთი და იმავე სქესის წყვილების სამართლებრივი აღიარების ტენდენციაა. კერძოდ, ევროპის საბჭოს 47 ქვეყნიდან 24 ქვეყანის კანონმდებლობა ერთი და იმავე სქესის წყვილების კავშირის სამართლებრივ აღიარებას ითვალისწინებს. ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის გადაწყვეტილებაზე, სადაც ხაზგასმულია ერთი და იმავე სქესის წყვილების კავშირის აღიარებისა და დაცვის აუცილებლობა. გარდა ამისა, ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, იტალიის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს ერთი და იმავე სქესის წყვილების კავშირის სამართლებრივ აღიარებს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი, რომლის მიმართებაშიც უნდა მომხდარიყო განმცხადებლების ინტერესების — მოეხდინათ თავიანთი ურთიერთობის სამართლებრივი აღიარება — დაბალანსება. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიამ ვერ შეასრულა თავი-

სი ვალდებულება და ვერ შექმნა კონკრეტული სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფდა განმცხადებლების კავშირის აღიარებასა და დაცვას.

7. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

7.1. მონიტორინგი დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში

მაისში, ივნისსა და ივლისში სახალხო დამცველის აპარატში იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა პრობლემების გადასაჭრელად მიმდინარე პროექტის ფარგლებში, მონიტორინგი განხორციელდა ბოლნისსა და კახეთში მდებარე დევნილთა კომპაქტურად განსახლების 12 ობიექტებში. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი ადგილზე გაეცნო დევნილთა პრობლემებს, საცხოვრებელ პირობებს და გაუწია მათ სამართლებრივი კონსულტაცია.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ობიექტების უმრავლესობა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, განსაკუთრებით სოფელ წნორში მდებარე ყოფილი სასტუმრო ქიზიყის შენობაში და პურკომბინატის ბინებში. თუმცა, მთავარ პრობლემას რეგიონში მცხოვრები დევნილების ზოგადი არაინფორმირებულობა წარმოადგენს.

დევნილები არ არიან ინფორმირებული დევნილთა შესახებ ახალი კანონის სიახლეების შესახებ; ასევე, როგორ უნდა მოიქცნენ თუ შენობა ნგრევადი და სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საფრთხეს შეიცავს; არც სარეაბილიტაციო სტანდარტების შესახებ გაუგიათ რამე; არ ფლობენ ინფორმაციას, როდის მოხდება მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა.

7.2. სამუშაო შეხვედრა

9-10 ივლისს, ქობულეთში ქალთა ციხეების მონიტორინგის სახელმძღვანელო წესების პრაქტიკული დახვეწის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სხვადასხვა დეპარტამენტების წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრა გამართეს.

მონაწილეებმა თემატურ ჯგუფებში განიხილეს ქალთა დაწესებულების მონიტორინგის ინსტრუმენტის დახვეწისა და ქალთა N5 დაწესებულების მონიტორინგის დროს გამოვლენილი ხარვეზების გადაჭრის გზები.

შეხვედრა განხორციელდა UN Women-ისა და სახალხო დამცველის ოფისის პარტნიორობის ფარგლებში; გაეროს პროექტის „ინოვაციური მოქმედებები გენდერული თანასწორობისთვის“ (IAGE) ტექნიკური მხარდაჭერითა და ევროკავშირის დაფინანსებით.

7.3. ადამიანის უფლებათა საზაფხულო სკოლა

10—16 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ადამიანის უფლებების საზაფხულო სკოლის ტრენინგებში ჩატარდა, რომელშიც შიდა ქართლის, სამეგრელოს, ასევე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან შერჩეულმა 15-20 წლის ახალგაზრდებმა მიიღეს მონაწილეობა.

მონაწილეებმა დემოკრატიული განვითარების მნიშვნელობის, კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციისა და სამოქალაქო აქტივობის შესახებ საბაზისო ცოდნა მიიღეს.

საზაფხულო სკოლა გახსნაზე სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ ხაზი გაუსვა ახალგაზრდების როლს ინკლუზიური საზოგადოებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში, მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანასწორობის, ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრებაში.

იძულებით გადაადგილებული პირების უფლებებზე, ტოლერანტობასა და დისკრიმინაციაზე სემინარები ცნობილმა ქართველმა უფლებადამცველებმა და ექსპერტებმა, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა ჩაატარეს. განიხილეს კონკრეტული მაგალითები, რაც სამომავლოდ მონაწილეებს დაეხმარება, სრულად გაიაზრონ ადამიანის უფლებების დარღვევის და ძალადობის ფაქტები საკუთარ თემში.

პროექტი დააფინანსა ევროპის უსაფრთხოები-

სა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო), ეროვნული უმცირესობების საკითხებში უმაღლესი კომისრის ოფისმა (OSCE HCNM).

7.4. სასწავლო ვიზიტი სერბეთში

21—24 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე, თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსი თამარ გაბიანი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ხუციშვილი, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ნიკა კვარაცხელია და მთავარი სპეციალისტი ლევან ბეგიაშვილი სასწავლო ვიზიტით სერბეთის ომბუდსმენის ოფისში იმყოფებოდნენ.

შეხვედრა სერბეთის სახალხო დამცველთან საშა იანკოვიჩთან

შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ცენტრისა (DCAF) და სერბეთის სახალხო დამცველის ოფისის მიერ ორგანიზებული ვიზიტი მიზნად ისახავდა ორმხრივი გამოცდილების გაზიარებას, როგორც სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით, ასევე უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგის და პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობის სპეციფიკასთან მიმართებით.

7.5. მომართვიანობის სტატისტიკა

ივლისის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 772 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 613 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი — 1
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 65
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი — 326
- რეგიონული სამმართველო — 160
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი — 17
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი — 15
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 11
- თანასწორობის დეპარტამენტი — 11
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი — 7



8. კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ;
577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.36
მობ.: 577 048267
ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ ხიდაშელი,
თეა ბაციკაძე